საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

23/01/2025

MES 4 25 0000047399

გადაწყვეტილება

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 7 ივნისს შემოვიდა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის №01-18/159 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის - 646655), რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი "ბიზნეს ადმინისტრირების (მენეჯმენტი)" საბაკალავრო, "ბიზნეს ადმინისტრირების (მარკეტინგი)" საბაკალავრო, "ბიზნეს ადმინისტრირების (ფინანსები)" საბაკალავრო, "ბიზნეს ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო და "ბიზნეს ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თაობაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 2 ივლისის №787321 ბრძანების საფუძველზე, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 20 აგვისტოს №994933 ბრძანებით (ბრძანებაში ცვლილება №1245796; 01/10/2024) შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ბიზნეს ადმინისტრირების (მენეჯმენტი)" საბაკალავრო, "ბიზნეს ადმინისტრირების (მარკეტინგი)" საბაკალავრო, "ბიზნეს ადმინისტრირების (ფინანსები)" საბაკალავრო, "ბიზნეს ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო და "ბიზნეს ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განახორციელა 2024 წლის 9-10-11 ოქტომბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი "ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**x**			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**x**			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**x**			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**x**			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**x**			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა **2024 წლის 30 დეკემბერს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 30 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)" საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 23 იანვრის №47292 ოქმის №2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევებ ი:

რეკომენდაციები:

არ არის განსაზღვრული

რჩევები:

1. პროგრამის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, სასურველია აქცენტი გაკეთდეს ისეთ მიზნებზე, რომლებიც სტუდენტებს ამზადებს ბიზნესში ციფრული ტრანსფორმაციისთვის, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ციფრული მარკეტინგი, ფინანსური ანალიტიკა და ელექტრონული მენეჯმენტი. (1.1)
2. სასურველია, მოხდეს სწავლის შედეგების კორექტირება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულების მიერ გლობალური კომპეტენციების შეძენა, მათ შორის კულტურათაშორისი კომუნიკაციისა და საერთაშორისო ბიზნეს ეთიკის, რათა დაკმაყოფილდეს მულტინაციონალური დამსაქმებლების მოთხოვნები. (1,2)
3. სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმების განახლება თანამედროვე ბიზნესის თემების ჩართვით (მაგ., ლიდერობა, მეწარმეობა, ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა) და პრაქტიკული გამოყენების ხაზგასმით. (1,4)
4. სასურველია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში დაინერგოს დონის განმსაზღვრელი ტესტი, რომელიც რეალურად დაადგენს თითოეული სტუდენტის უცხო ენის ცოდნასა და უნარებს, რომელიც საჭიროა ამ საბაკალავრო პროგრამაში სწავლის გასაგრძელებლად. (2,1)
5. სასურველია სასწავლო პროგრამებს დაემატოს ლიდერობისა და მენეჯერული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული კურსები, რაც სტუდენტებს მაღალი დონის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობისთვის მოამზადებს.(2.2)
6. პრაქტიკული/შემოქმედებითი/კვლევითი/ტრანსფერული უნარ-ჩვევების ეფექტურად განვითარების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეებზე, და სტუდენტების სტაჟირებებსა და საწარმოო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სასურველია სასწავლო გეგმაში მეტი პრაქტიკული პროექტების, კეისების, რეალურ პრაქტიკაში გამოყენებისა და ინტერაქტიული სემინარების ჩართვა. (2,2)
7. სანდო და ვალიდური სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებისთვის, რომლებიც შეესაბამება კურსის/პროგრამის შინაარსს და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, სასურველია BBA და MBA კურსების (განსაკუთრებით, საგნობრივი სავალდებულო კურსების) სილაბუსების გადახედვა პრაქტიკული აქტივობებისა და დავალებების ანალიზის კუთხით, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების/სტრატეგიების დეტალური აღწერის თვალსაზრისით. (2,3)
8. სასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის ანაზღაურებადი "აკადემიური შვებულების" შემოღების შესაძლებლობა. ეს შეიძლება შეესაბამებოდეს და რეგულირდებოდეს უნივერსიტეტის არსებული პოლიტიკით აკადემიური პერსონალის აფილირებისა და დატვირთვის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.
9. სასურველია ყოვლისმომცველი 360-გრადუსიანი შეფასების სისტემის დასრულება, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალის გამჭვირვალე ანაზღაურებისა და წახალისების სქემასთან. (4,3)
10. ინტერნაციონალიზაციის სფეროში მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესთან ერთად, მიზანშეწონილია უსდ-მ გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესი და მხარი დაუჭიროს ქართველ აკადემიურ პერსონალსა და ევროპელ მკვლევარებს შორის ქსელის განვითარებას. (4,3)
11. სასურველია ცენტრალიზებული საგამოცდო ცენტრის შექმნა გამოცდების სტანდარტიზაციისა და ლოგისტიკური მართვის გაუმჯობესების მიზნით. (4,4)
12. არსებული სამუშაო სივრცეები ადექვატურია; თუმცა, სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი უნივერსიტეტში სასადილოს არსებობის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს განიხილოს კამპუსში სასადილოს მოწყობის შესაძლებლობა, რათა ხელი შეეწყოს იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ კვება კამპუსის დატოვების გარეშე. (4.4)

13. სასურველია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ბიზნესის ადმინისტრირების კლასტერის პროგრამებისთვის შემოსავლების წყაროების მრავალფეროვნებას. სასურველია სტუდენტთა სწავლის საფასურთან ერთად დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა სამეცნიერო გრანტების, საწარმოებთან კვლევითი პარტნიორობისა და კურსდამთავრებულთა შემოწირულობების ხარჯზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობას. (4,5)
14. სასურველია პროგრამის შეფასების მყარი სისტემის შექმნა, რომელიც შეაფასებს როგორც ფინანსურ, ისე საგანმანათლებლო შედეგებს, რაც საშუალებას მისცემს მონაცემებზე დაყრდნობით მოხდეს ბიუჯეტებისა და რესურსების განაწილების კორექტირება. (4,5)
15. სასურველია განიხილულ იქნეს პროგრამების ფინანსურ მდგომარეობის ამსახველი ძირითადი შესრულების ინდიკატორების (KPIs) მონიტორინგი, როგორიცაა ღირებულება ერთ სტუდენტზე, შემოსავლების ზრდის ტემპები, ან მეტობის/დეფიციტის მაჩვენებლები. (4,5)
16. სასურველია უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, უფრო დეტალურად უნდა აღიწეროს, თუ როგორ ხდება სააკრედიტაციო ორგანოებისა და საერთაშორისო აკადემიური ორგანიზაციებისგან მიღებული გარე შეფასებების გათვალისწინება შიდა შეფასების პროცესში. (5.1)

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 30 დეკემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ეროვნული სააგენტო
ზზამთელსმეღლა
ელექტრონული

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის N3, (ყოფ. დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, თბილისი, 0159, საქართველო)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	30.12.2024
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2031 წლის 30 დეკემბერი